



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო



განკარგულება № 52

2016 წლის 23 ივნისი

ხაშური


ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100 ცალი ნაგვის კონტეინერის ა(ა)იპ „ხაშურსერვისისათვის“ სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით თხოვების ფორმით, ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადაცემის თაობაზე მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ (ს/კ443856908) დირექტორის 06.06.2016 წლის №99 მომართვის საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია საკუთრებაში არსებული ლითონის მოთუთიებული ნაგვის კონტეინერების სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადასცეს ა(ა)იპ ხაშურსერვისს, ნარჩენების მართვის თვალსაზრისით, მომსახურების გასაუმჯობესებლად.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ და „დ.გ“ ქვეპუნქტის, 122-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, მე-4 და მე-6 პუნქტების, შესაბამისად ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. მიეცეს თანხმობა ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგებელს ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ (ს/კ 443856908) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, თხოვების ფორმით ა(ა)იპ-ის არსებობის ვადით გადასცეს, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 100 ცალი ნაგვის კონტეინერი (ერთი კონტეინერის ღირებულება 762.71 ლარი, დღგ-ს გარეშე) ღირებულებით 76271 (სამოცდათექვსმეტიათას ორასსამოცდათერთმეტი) ლარი, დღგ-ს გარეშე;
2. განკარგულება აღსასრულებლად გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის გამგეობას;
3. განკარგულება ძალაში შედის ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე [www.khashuri.org.ge](http://www.khashuri.org.ge) გამოქვეყნებისთანავე;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ხაშური, მერაბ სკოსტავას ქ №15).

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე



ვაჟა შუბითიძე